დამტკიცებულია ასოციაციის გამგეობის

მიერ 2023 წლის 17 ნოემბერს

ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ასოციაციასთან, ავტორების, მომიჯნავე უფლების მფლობელების, მათ მემკვიდრეების (უფლებამონაცვლეების) ან/და სხვა მფლობელების, ნაწარმოებებზე ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტებზე ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების, შესრულების, ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი:

1. წინამდებარე წესები განსაზღვრავს ნაწარმოებებზე ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტებზე ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულებების (შემდგომში: ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულება) გაფორმების, შესრულების, ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის, ასევე, ასოციაციის კოლექტიურ მმართველობაში არსებული ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტებზე აღრიცხვის განხორციელების წესს.
2. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულებას ასოციაცია აფორმებს იმ ნაწარმოებებთან ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტებთან მიმართებაში, ასევე მათი ქონებრივი უფლებების გამოყენების იმ ფორმებთან და მეთოდებთან მიმართებაში, რომლებსაც მოიცავს ქონებრივი უფლებების (ქონებრივი უფლებების კატეგორიების) მართვის სფეროები, სადაც მოქმედებს ასოციაცია:
   - მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტით და ტექსტის გარეშე;
   - შესრულებები (ფონოგრამებზე ჩაწერილი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებები);
   - ფონოგრამები (ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერები);
   - აუდიოვიზუალური ნაწარმოებები;
   - ვიდეოგრამები (თანმიმდევრული გამოსახულებების ჩანაწერები რაიმე ობიექტური ფორმით, ხმის თანხლებით ან მის გარეშე);
   - ლიტერატურული, დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები, ქორეოგრაფიული ან პანტომიმური ნაწარმოებები და სხვა სასცენო ნაწარმოებები, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოიყენება თეატრალური წარმოდგენების (სპექტაკლების) შემადგენლობაში.
3. ასოციაცია ქონებრივი უფლებების მფლობელთან, აფორმებს ხელშეკრულებას ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ, იმ ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების გამოყენების თაობაზე, რომლებიც ჩამოთვლილი მე-2 პუნქტში.
4. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პროცესი შეიძლება განხორციელდეს უფლებამფლობელთან უშუალო (პირადი) ურთიერთობის გზით ან შესაბამისი დოკუმენტების საფოსტო/ელექტრონული გზავნილების გაცვლის გზით.
5. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება ასოციაციის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი კატეგორიის უფლებამფლობელებთან მიმართებაში.
6. ფიზიკური პირი, რომელსაც სურს გააფორმოს ასოციაციასთან ხელშეკრულება, ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ, წარმოადგენს:
   - პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს პირად მონაცემებს; (გვარი, სახელი, პირადი ნომერ და ა.შ)
   - მონაცემები ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომლებზეც უნდა გადაეცეს ასოციაციას ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის

უფლებამოსილებები - ნაწარმოებების ან მომიჯნავე უფლებების უფლებამფლობელების შევსებული ჩამონათვალი (ე.წ კატალოგი), ასოციაციაში დადგენილი ფორმის შესაბამისად;

- 6.2 შევსებული ჩამონათვალი (ე.წ კატალოგი), ელექტრონული ფაილების სახით, რომლებიც შეესაბამება ასოციაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;
- იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელსაც სურს გააფორმოს ხელშეკრულება ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ არ არის ნაწარმოების ავტორი ან/და შემსრულებელი, რომელიც შექმნილია საკუთარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომით (საკუთარი ნაწარმოები); ფონოგრამის დამამზადებელი, რომელზეც ჩაწერილია საკუთარი ნაწარმოების მისივე შესრულება - ვალდებულია წარმოადგინოს იმ დოკუმენტების ასლები, რომლებითაც დასტურდება მმართველობაში გადასაცემ შესაბამის ნაწარმოებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე ქონებრივი უფლებების შეძენა, ან ნებართვის მიღება ნაწარმოებზე, ნაწარმოების შესრულებაზე, ფონოგრამის დამზადებაზე (აუცილებელი ხელშეკრულებების, მემკვიდრეობაზე უფლებების მოწმობების ასლები);
- საკონტაქტო მონაცემები (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი) და საბანკო ანგარიში (ასოციაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად).

7. იურიდიული პირი, რომელსაც სურს გააფორმოს ასოციაციასთან ხელშეკრულება ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ, წარმოადგენს:

- იურიდიული პირის რეგისტრაციის დოკუმენტების ასლებს;
- მონაცემებს ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების შესახებ, რომლებიც გადაეცემა ასოციაციას ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის უფლებამოსილებები - ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების შევსებული ჩამონათვალის სახით, ასოციაციაში დადგენილი ფორმის შესაბამისად.
- 7.2 პუნქტში მითითებული ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების ეგზემპლარებს, ელექტრონული ფაილების სახით, რომლებიც შეესაბამება ასოციაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;
- ხელშეკრულების ასლებს, რომლებითაც დადასტურდება 6.2 პუნქტში მითითებულ ნაწარმოებებზე ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტებზე ქონებრივი უფლებების შეძენა;
- საკონტაქტო მონაცემებს (საფოსტო მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი) და საბანკო ანგარიში (ასოციაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად).

8. ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების ეგზემპლარებზე, რომლებსაც წარმოადგენს საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების მფლობელი, მითითებული უნდა იყოს მათი წარმოდგენი პირი, როგორც შესაბამისი ობიექტების უფლებამფლობელი.

9. ასოციაცია ატარებს მე-6 და მე- 7 პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი მონაცემების და დოკუმენტების ანალიზს, რათა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ქონებრივი უფლებების მართვის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, კერძოდ, დასტურდება თუ არა, წარმოდგენილი დოკუმენტებით და მასალებით, რომ შესაბამის პირს ეკუთვნის ექსკლუზიური უფლებები ნაწარმოებებზე ან/და მომიჯნავე უფლებებზე, გრძელდება თუ არა მიმდინარე მომენტში, მმართველობისთვის განცხადებული ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების სამართლებრივი დაცვა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს იმის შემოწმებას, ხომ არ გადაეცა კოლექტიურ საფუძველზე ქონებრივი უფლებების მართვის სხვა ორგანიზაციას უფლებამოსილებები მმართველობისთვის განცხადებულ ნაწარმოებებზე ან/და მომიჯნავე უფლებებზე, მათი გამოყენების ფორმებთან და ხერხებთან მიმართებაში, რომლებიც შედის ქონებრივი უფლებების მმართველობის სფეროებში.

10. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულება არ ფორმდება შემდეგ შემთხვევებში:

- ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით დაინტერესებული პირისგან მიღებული მონაცემები და დოკუმენტები არ ადასტურებს მმართველობისთვის განცხადებულ ნაწარმოებებზე ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტებზე ქონებრივი უფლებების მფლობელობას;
- მმართველობისთვის განცხადებულ ნაწარმოებებთან ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტებთან, ასევე მათი გამოყენების ფორმებთან და ხერხებთან დაკავშირებული უფლებამოსილებები გადაეცა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის სხვა ორგანიზაციას;

11. იმ შემთხვევაში, თუ ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით დაინტერესებული პირისგან მიღებული მონაცემებით და დოკუმენტებით დადგინდება, რომ ნაწარმოები, რომელთან მიმართებაშიც იგეგმება ხელშეკრულების გაფორმება, შექმნილია სხვა, ადრე არსებული ნაწარმოების შეცვლის (გადამუშავების) გზით (წარმოებული ნაწარმოები), ასოციაციას, ხელშეკრულების გაფორმებამდე, უფლება აქვს მოსთხოვოს ასეთი წარმოებული ნაწარმოების ავტორს ან სხვა უფლებამფლობელს დოკუმენტური დადასტურება, იმის რომ წარმოებული ნაწარმოების შექმნისას დაცული იყო გადამუშავებას დაქვემდებარებული ნაწარმოების ავტორის (ავტორების) უფლებები.

12. ასოციაციას არ შეუძლია უარი უთხრას დაინტერესებულ პირს (უფლებამფლობელს) ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე, თუ ის შეესაბამება წინამდებარე წესებით დადგენილ კრიტერიუმებს და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა არის თუ არა ასეთი პირი ასოციაციის წევრი, ასევე ასოციაციის წევრობა, არ შეიძლება განისაზღვროს უფლებამფლობელის პირადი თავისებურებებიდან (ეროვნული, მოქალაქეობრივი, რელიგიური ან გენდერული კუთვნილების, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის და სხვა სუბიექტური თავისებურებებიდან) გამომდინარე და ნებისმიერი სხვა ნიშნით საქართველოს კანონმდებლობით, ასოციაციის წესდებით და წინამდებარე წესებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. ასოციაცია თავის მხრივ, უზრუნველყოფს თანასწორ, მიუკერძოებელ და არადისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ყველა იმ პირის მიმართ, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ, მიუხედავად ხელშეკრულებების გაფორმების ვადებისა და ობიექტების რაოდენობისა, რომლთა მიმართებაშიც ხორციელდება ამა თუ იმ პირის კუთვნილი ქონებრივი უფლებების მართვა, რაც ასევე ეხება ჰონორარების ოდენობას და სხვა შესაძლო სუბიექტურ კრიტერიუმებს.

13. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, ასოციაცია აწვდის უფლებამფლობელს ინფორმაციას იმ წესების შესახებ, რომელთა გამოყენებითაც ასოციაცია ახდენს საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების ლიცენზირებას, ჰონორარების შეგროვებას, მათ განაწილებას უფლებამფლობელებს შორის, ქონებრივი უფლებების მართვის თაობაზე ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის და მათი შეწყვეტის წესს, შეგროვილი ჰონორარების თანხებიდან ასოციაციის მიერ თანხების დაკავების შესახებ წესს, მათ შორის, ქონებრივი უფლებების მართვის ხარჯების დასაფარად და მიზნობრივი გადარიცხვებისთვის, როგორც გათვალისწინებულია ასოციაციის წესდების შესაბამისად. აღნიშნული წესების, პროცედურების ან თანხის დაკავებების შეცვლის შემთხვევაში, ასოციაცია ამის თაობაზე აცნობებს უფლებამფლობელებს, შესაბამისი ინფორმაციის ასოციაციის ოფიციალურ საიტზე განთავსების გზით.

14. ასოციაცია აწარმოებს იმ უფლებამფლობელთა მონაცემების აღრიცხვას, რომლებთან მიმართებაშიც ასოციაციას გაფორმებული აქვს ქონებრივი უფლებების მართვის ხელშეკრულებები, ასოციაციის მონაცემთა ბაზის ფორმირების და მუდმივი აქტუალიზაციის გზით, ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად რეესტრების წარმოების გზით, სადაც შეტანილია მონაცემები ასოციაციის მმართველობაში გადაცემული უფლებების შესახებ.

15. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, უფლებამფლობელი გადასცემს ასოციაციას უფლებამოსილებას, საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების ყველა იმ ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც განეკუთვნება

ხელშეკრულების მოქმედების სფეროში და რომლებიც შექმნილია/შეძენილია უფლებამფლობელის მიერ, ასეთი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის, ასევე შეიქმნება/შეძენილ იქნება, მისი მოქმედების პერიოდში. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, უფლებამფლობელი აცნობებს ასოციაციას მის საკუთრებაში არსებული საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების შესახებ, ასოციაციის მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ასოციაცია პასუხს არ აგებს უფლებამფლობელების წინაშე, შესაძლო ნაკლოვანებებისთვის, მისი ქონებრივი უფლებების მართვის ნაწილში, საავტორო ან მომიჯნავე უფლებების იმ ობიექტებთან მიმართებაში, რომლების თაობაზეც უფლებამფლობელმა წინასწარ არ აცნობა ასოციაციას დადგენილი წესით.

16. ასოციაცია აწარმოებს იმ ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების მონაცემების აღრიცხვას, რომელთა ქონებრივი უფლებების მართვაზეც ასოციაციას დადებული აქვს ხელშეკრულება, ასოციაციის მონაცემთა ბაზის ფორმირებისა და მუდმივი აქტუალიზაციის გზით, და ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად, რეესტრის წარმოებით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასოციაციისთვის მმართველობაში გადაცემული უფლებების შესახებ.

17. ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების მონაცემები შეტანილია ასოციაციის მონაცემთა ბაზაში. აუცილებლობის შემთხვევაში, ასოციაცია ახორციელებს შემოსული ინფორმაციის წინასწარ შედარებას სხვა უფლებების მფლობელებისგან, სხვა ორგანიზაციებისგან ადრე მიღებულ მონაცემებთან, რომლებიც მართავენ ქონებრივ უფლებებს კოლექტიურ საფუძველზე და ასევე, საერთაშორისოდ აღიარებულ მონაცემთა ბაზებში არსებული ნამუშევრების, მომიჯნავე უფლებების ობიექტებისა და მათი უფლებების მფლობელების შესახებ ინფორმაციასთან შედარებით. კონკრეტული ნამუშევრების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების არსებულ მონაცემებში შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში, ასოციაციას აქვს უფლება გაუგზავნოს მოთხოვნები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს სანდო ინფორმაციის დადგენის მიზნით. დავის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება ინფორმაციას, რომელიც დასტურდება დოკუმენტებით.

18. ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების შესახებ მონაცემები, რომელთა ქონებრივი უფლებების მართვას ასოციაცია ახორციელებს სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეტანილია ასოციაციის მონაცემთა ბაზაში, იმ ინფორმაციის თანახმად, რომელსაც ის იღებს სხვა ორგანიზაციისგან.

19. ასოციაციის კოლექტიურ მმართველობაში გადაცემული თითოეული ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტთან დაკავშირებით, ასოციაციის მონაცემთა ბაზა მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების უფლებამფლობელთა დასახელება;
- ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის სამართლებრივი დაცვის მოქმედების დაწყების მონაცემები (შექმნის წელი - ნაწარმოებისთვის, პირველად შესრულების / პირველი ხმოვანი ჩანაწერის / პირველი გადაცემის / პირველი გამოქვეყნების წელი - შესრულებების და ფონოგრამებისთვის);
- ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის უფლებამფლობელის მონაცემები;
- მონაცემები იმ ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის (ქონებრივი უფლებების) გამოყენების ფორმის და ხერხების შესახებ, რომლებთან მიმართებაშიც ასოციაციას გადაეცა მართვის უფლებამოსილება;
- ნაწარმოებთან ან მომიჯნავე უფლების ობიექტთან მიმართებაში ასოციაციის უფლებამოსილებების მოქმედების ტერიტორიის და ვადის შესახებ მონაცემები;
- მონაცემები ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის კონკრეტული უფლებამფლობელების წილების შესახებ, მისი შესრულებისთვის ჰონორართან მიმართებაში;

- სხვა მონაცემები, რომლების აუცილებლობას და შემადგენლობას განსაზღვრავს ასოციაცია.

20. ასოციაციისთვის სამართავად გადაცემული უფლებების შესახებ ინფორმაციის შემცველი რეესტრები იქმნება ასოციაციის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე კანონით დადგენილი წესით. ამ რეესტრებში მოცემული ინფორმაციის მესამე მხარის გადაცემის წესს ადგენს ასოციაცია.

21. ასოციაციის მონაცემთა ბაზაში და რეესტრებში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ასოციაცია თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას ასოციაციისთვის მართვაში გადაცემული უფლებების შესახებ, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

22. უფლებამფლობელების ქონებრივი უფლებების მართვის განხორციელებისას, ასოციაცია თანასწორი და არადისკრიმინაციული პირობებით ახორციელებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტებით სარგებლობის ლიცენზირებას, ასევე, ანაზღაურების შეგროვებას და განაწილებას, იმ ობიექტების ყველა უფლებამფლობელების სასარგებლოდ, რომლებიც ერთ კატეგორიას განეკუთვნება, ასოციაციის მიერ დადგენილი ერთიანი პროცედურების შესაბამისად.

23. საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უფლებამფლობელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განაცხადოს მისი განზრახვის შესახებ, შეცვალოს ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ, საავტორო უფლების ან მომიჯნავე უფლებების იმ ობიექტების ან მათი (ქონებრივი უფლებების) გამოყენების ფორმის ან მეთოდების მისი მოქმედების სფეროდან გამორიცხვის გზით, რომლებთან მიმართებაშიც ასოციაცია ახორციელებს კოლექტიურ მართვას, ასევე შეწყვიტოს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება სრული მოცულობით. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ან მისი შეწყვეტის მიზნით, უფლებამფლობელი უგზავნის ასოციაციას წერილობით შეტყობინებას, სადაც მითითებული უნდა იყოს საავტორო უფლების ან მომიჯნავე უფლებების კონკრეტული ობიექტები, ან მათი გამოყენების ფორმები და მეთოდები (ქონებრივი უფლებები), რომლებიც უფლებამფლობელს სურს გამორიცხოს ხელშეკრულების მოქმედების სფეროდან, ან სადაც პირდაპირ არის გამოთქმული ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის განზრახვა. ხელშეკრულების შეცვლა ან მისი მოქმედების შეწყვეტა, უფლებამფლობელის შეტყობინების შესაბამისად, ძალაში შედის იმ კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ, როდესაც ასოციაციამ მიიღო უფლებამფლობელის შეტყობინება, იმ პირობით, რომ ასეთი შეტყობინება ასოციაციამ მიიღო კალენდარული წლის დამთავრებამდე არაუგვიანეს ექვსი თვით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამფლობელის შეტყობინებას ასოციაცია მიიღებს აღნიშნულ ვადაზე გვიან, ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების ცვლილება ძალაში შედის იმ კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ, რომელიც მოსდევს კალენდარულ წელს, როდესაც ასოციაციამ მიიღო უფლებამფლობელის შეტყობინება, თუ შეთანხმების გაფორმების გზით სხვა დამატებითი ვადა არ არის შეთანხმებული უფლებამფლობელს და ასოციაციას შორის. ხელშეკრულების შეცვლის ან მისი შეწყვეტის შესახებ უფლებამფლობელის შეტყობინების მიღების ფაქტს, ასევე შესაბამისი ცვლილებების ძალაში შესვლის ან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ვადას ასოციაცია ადასტურებს უფლებამფლობელისთვის შესაბამისი შინაარსის შეტყობინების გაგზავნის გზით, უფლებამფლობელს უფლება აქვს გამოითხოვოს ადრე გაგზავნილი შეტყობინება, ამის შესახებ ასოციაცია წერილობითი ინფორმირებით, არაუგვიანეს, ერთი თვით ადრე, ხელშეკრულებაში განცხადებული ცვლილებების ძალაში შესვლამდე ან მისი მოქმედების შეწყვეტამდე. ხელშეკრულების შეცვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან ასოციაცია ამორიცხავს მოთხოვნილ უფლებას, უფლებათა კატეგორიას ან უფლების კატეგორიათა ჯგუფებს თავისი სისტემიდან.

24. ასოციაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის მიერ მიღებულია ინფორმაცია, რომ პირი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, არ არის იმ საავტორო უფლების ან/და მომიჯნავე უფლებების სათანადო უფლებამფლობელი, რომლებთან მიმართებაშიც გაფორმებულია ასეთი ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყდება იმ მომენტიდან, როდესაც პირი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, მიიღებს წერილობით შეტყობინებას ასოციაციისგან სადაც მოცემულია სრული ინფორმაცია გარემოებების შესახებ, რომლებთან შესაბამისადაც ასოციაცია აუცილებლად თვლის შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

25. ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების ძალაში შესვლის, ასევე, 23-ე და 24-ე პუნქტების შესაბამისად მისი მოქმედების შეწყვეტის მომენტამდე, ასოციაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების ასახვას, მათ შორის ასოციაციის რეპერტუარიდან ამორიცხული საავტორო ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების შესახებ, ასოციაციის მონაცემთა ბაზაში, ასოციაციის მიერ წარმოებულ რეესტრებში და მის ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციის ნაწილში.

გამგეობის თავმჯდომარე---------- /თ. გვარიშვილი/

გამგეობის კრების მდივანი---------- /გ. ნიკოლაიშვილი/